



ერვე ლე ტელიე

ანომალია

რომანი

დიდგენეს
გიგლოთუქა

ერვე ლე ტელიე
ანომალია

Hervé Le Tellier
L'ANOMALIE

ფრანგულიდან თარგმნა პაატა ჯავახიშვილმა

Cet ouvrage a bénéficié du soutien du Programme d'aide à la publication de l'Institut français.

წიგნი გამოიცა ფრანგული ინსტიტუტის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ხელშეწყობით.

© Éditions Gallimard, Paris, 2020
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2023
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-778-7

www.diogene.ge

და მე გეტყვით თქვენ, ვინც სიზმარს ხედავთ,
მეც მძინავს და სიზმარს ვხედავ.

ჩუან ძი

ნამდვილმა პესიმისტმა იცის, რომ
უკვე გვიანაა პესიმისტობა.

ანომალია
ვიქტორ მიესელი

სარჩევი

I ცხსავით შავი

ბლეიკი	11
ვიქტორ მიესელი	24
ლუსი	33
დევიდი	42
ნჯღრევა	50
სოფია კლეფმანი	57
ჯონა	68
მიესელის საქმე	78
სლიმბოი	84
ედრიანი და მერედიტი	96
ხუმრობა	109
ანდრე	115
პირველი საათები	127

II ცხმვრევა სიზმარიამ, ამოგან

მომენტი, როდესაც	139
შვიდი გასაუბრება	150
დეკარტი 2.0	164
მე-14 მაგიდა	174
E pur, si muove	182
ანგარი	193
მერედიტის შეკითხვები	198
რამდენიმე პრეზიდენტი	205
The people have the right to know	211

III არარას სიმღერა

მეორე ხარისხის შეხვედრა	221
კაცი უყურებს ქალს	230
ორი სოფიას სამყარო	241
ორი სლიმბოი	246
Same player dies again	253
ვუდეები vs ვასერმანები	260
ერთი შვილი, ორი დედა	264
ვიქტორ მიესელის პორტრეტი აჩრდილად	272
Night show	285
ჯეიკობ ევანსის შინაგანი ხმა	300
გაქრობა	304
სამი ნერილი, ორი მეილი, ერთი სიმღერა, აბსოლუტური ნული	314
ბოლოთქმა	328
მადლობა	336

I

ცასავით შავი

(2021 წლის მარტი-ივნისი)

არის ერთი სრულიად აღმაფრთოვანებელი
რამ, რაც ცოდნას, განათლებას და თვით გე-
ნიალურობას სცდება და ესაა გაუგებლობა.

ანომალია

ვიქტორ მიქსელი

ბლეიკი

კაცის მოკვლას რა უნდა? ჯერ უნდა უთვალთვალო, მერე ჩაუ-საფრდე, ბევრი იფიქრო და, დრო რომ დადგება, ისე ქნა, თით-ქოს სიცარიელეში გადაეშვიო. დიახ, სიცარიელეში გადაეშვიო. ისე მოიქცე, რომ სამყარო იქამდე შევიწროვდეს, ვიდრე თოფის ლუ-ლაში ან დანის წვერზე არ დაეტევა. სულ ესაა. არც ზედმეტი კით-ხვები დაუსვა საკუთარ თავს და არც რისხვას აჰყვე, პროტოკოლი უნდა აირჩიო და მეთოდურად იმოქმედო. ბლეიკმა იცის ეს და თან უკვე იმდენი ხანია იცის, რომ აღარც კი ახსოვს, როდიდან იცის. შემდეგ ყველაფერი თავისთავად ხდება.

ბლეიკი თავს კაცისკვლით ირჩენს. ოღონდ ახლა მორალის კით-ხვას ნუ დაიწყებთ, ძალიან გთხოვთ. ეთიკაზე საუბარს თუ დაუნ-ყებთ, ის სტატისტიკით გიპასუხებთ. იმიტომ რომ – და ბლეიკი ბოდიშსაც იხდის ამის გამო – როდესაც ჯანდაცვის მინისტრი ბიუ-ჯეტს ამცირებს, ასეთ დროს ის ერთგან სკანერს მოაშორებს, მეო-რეგან რომელიმე ექიმს დაითხოვს ან სულაც რეანიმაციის განყო-ფილებას გააუქმებს სადმე და თან მშვენივრად ხვდება, რომ ამით ათასობით უცნობს უსწრაფებს სიცოცხლეს. პასუხისმგებლობაც ეკისრება, თუმცა დამნაშავე არ არის. ნაცნობი სიმღერაა. ბლეიკი სულ პირიქითაა. ყოველ შემთხვევაში, თავის მართლებას არც აპი-რებს, სულ ფეხებზე ჰკიდია ეს.

კაცისმკვლელობა მონოდება არ გახლავთ, ეს მიდრეკილების ამბავია. სულიერი მდგომარეობა, თუ გნებავთ. ბლეიკი თერთმეტი წლისაა და ჯერ არც ჰქვია ბლეიკი. გვერდზე უზის დედას „პეჟომი“ და გზატკეცილს მიუყვებიან სადღაც ბორდოს სიახლოვეს. სწრაფად არ მიდიან. ამ დროს წინ ძალღი დადურბენთ, დაჯახებისგან მანქანა ოდნავ გვერდზე გადადის, დედა დაიყვირებს და მთელი ძალით დაანვება მუხრუჭს. მანქანა ჯერ ზიგზაგებს ხაზავს, ბოლოს კი ძრავა ქრება.

– დარჩი მანქანაში, ძვირფასო. ღმერთო ჩემო, დარჩი-მეთქი.

ბლეიკი დედას არ უჯერებს და მიჰყვება. კოლი აღმოჩნდა, ნაც-რისფერბენიანი. დაჯახებისგან გულმკერდი მთლად შენგრეული აქვს. სისხლი გზისპირისკენ მიედინება, მაგრამ არ მომკვდარა, ისე წმუტუნებს, გეგონება, პატარა ბავშვი კენესისო. პანიკაში ჩავარდნილი დედა აქეთ-იქით აწყდება, თვალებზე ხელებს აფარებს ბლეიკს და რაღაც სიტყვებს ბუტბუტებს. სასწრაფო დახმარების გამოძახება უნდა.

– კი, მაგრამ, დედი, ეს ხომ ძალღია, ძალღი.

კოლი მძიმედ ქმენს დახეთქილ ასფალტზე, დამსხვრეული სხეული უცნაურად ებრიცება, სულ უფრო და უფრო სუსტად ძაგდაგებს და ბლეიკის თვალწინ ეთხოვება სიცოცხლეს. ბლეიკი კი დგას და ცნობისმოყვარეობით შეჰყურებს ცხოველის სხეულიდან ამომავალ ამ სიცოცხლეს. მორჩა. ისედაც არეული გონება რომ არ აურიოს დედას, ბიჭი ცდილობს, სევდა გამოეხატოს სახეზე, უფრო სწორად, ის, რაც მას ჰგონია სევდა, თორემ სინამდვილეში ვერაფერს გრძნობს. დედა გაყინული სახით დაჰყურებს გვამს, ბლეიკს კი მოთმინება ელევა და სახელოზე ეწევა, წამო, დედა, არავითარი აზრი არა აქვს აქ დარჩენას, მოკვდა, მე კიდევ ფეხბურთზე დამაგვიანდებო.

მოკვლას განსაკუთრებული უნარები სჭირდება. ბლეიკი თავის თავში ამ უნარებს მაშინ აღმოაჩენს, როდესაც ბიძამის შარლს ის სანადიროდ მიჰყავს. სამი გასროლით სამი კურდღლის მოკვლა თავისებური ნიჭია. სწრაფად და ზუსტად უმიზნებს, იცის, როგორ

მოირგოს ყველაზე მონჯღრეული კარბინები, ყველაზე გაუმართავი თოფები. გოგონები ატრაქციონებზე დაათრევენ – მიდი, რა, ეს ჟირაფი მინდა, გთხოვ, სპილო, გეიმ-ბოი, ჰო, მიდი, კიდეც! და ბლეიკიც არიგებს და არიგებს პლუმის სათამაშოებს, სათამაშო კონსოლებს. შიშის ზარს სცემს და მუსრს ავლებს ტირის სტენდებს, ვიდრე არ გადაწყვეტს, სიფრთხილე გამოიჩინოს. ბლეიკს ისიც ძალიან მოსწონს, რასაც ბიძამისი შარლი ასწავლის, შვლენბისთვის ყელის გამოჭრა იქნება ეს თუ კურდღლების ასო-ასო აქნა. დავაზუსტოთ: მოკვლისას, ცხოველის დაჭრის მერე საქმის ბოლომდე მიყვანისას ვერავითარ სიამოვნებას ვერ გრძნობს. მართლა ვილაც უკუღმართი კი არ არის. მხოლოდ ტექნიკური მოძრაობა, უშეცდომო რუტინა მოსწონს, რომელიც ხშირი გამეორების შედეგად მოდის.

ბლეიკი ოცი წლისაა და თავისი ძალიან ფრანგული გვართ – ლიპოვსკით, ფარსატითა თუ მარტენით – ალპების ერთი პატარა ქალაქის კულინარიულ სასწავლებელში ირიცხება. არა იმიტომ, რომ სხვა არჩევანი არ ჰქონდა, შეეძლო, ნებისმიერი სხვა რამ ეკეთებინა, ელექტრონიკაც უყვარდა, პროგრამირებაც ეხერხებოდა და ენებისადმიც ჰქონდა მიდრეკილება. აი, მაგალითად, ლონდონის ლენგის სასწავლებელში სამთვიანი სტაჟირება ეყო, რომ ინგლისურად თითქმის უაქცენტოდ ელაპარაკა. მაგრამ ბლეიკს მზარეულობა ურჩევნია ყველაფერს და მოცალეობის ჟამს ახალ-ახალ რეცეპტებსაც ქმნის. დრო მისთვის სამზრეულოს ალიაქოთშიც აუჩქარებლად მიედინება, წუთები მშვიდად გადის ტაფაზე დაგდებული კარაქის დნობის, თეთრი ხახვის ჭრისა და სუფლეს ამოყვანის ყურებისას. სანელებლების სუნი უყვარს, უყვარს ფერებისა და ნაირ-ნაირი გემოს შეხამება თეფშზე. შეეძლო, სასწავლებლის ყველაზე ბრწყინვალე მონაფე გამხდარიყო, მაგრამ...

– მართლა და მართლა, ლიპოვსკი (თუ ფარსატი, თუ მარტენ), სულ ოდნავ თავაზიანი რომ იყოთ კლიენტების მიმართ, ურიგო არ იქნებოდა. ეს პროფესია მომსახურების სფეროს ეკუთვნის, მომსახურების სფეროს, გესმით, ლიპოვსკი (თუ ფარსატი, თუ მარტენ)?

ერთ საღამოს ერთ-ერთ ბარში ვიღაც ძალიან მთვრალი ტიპი გამოელაპარაკა და, მკვლელობის შეკვეთა მინდაო, უთხრა. უთუოდ მიზეზიც ექნებოდა, ან სამსახურის ამბავი აღმოჩნდებოდა, ან ქალის, მაგრამ ბლექისთვის სულ ერთია.

– გააკეთებ ამას ფულის სანაცვლოდ?

– გაგიჟდი? – პასუხობს ბლექი. – ნამდვილი გიჟი ხარ.

– ფულს გადაგიხდი, და კარგა ბლომდაც.

თანხას, რომელიც მან შესთავაზა, სამი ნული ჰქონდა. ბლექს მხიარულად გაეცინა.

– არა. ხუმრობ, ხომ?

ბლექი ნელა, აუჩქარებლად სვამდა. ტიპი ბარზე დაემხო. ბლექიკმა შეანჯღრია.

– ყური მიგდე, ვიცი ერთი, ვინც გაგიკეთებს მაც საქმეს. ოღონდ ორჯერ უფრო ძვირად. მე თვითონ არასდროს შევხვედრივარ. ხვალ გეტყვი, როგორ მოძებნო, მაგრამ მერე ამაზე აღარასდროს დამელაპარაკები, გესმის?

სწორედ იმ საღამოს გამოიგონა ბლექიკმა ბლექი. უილიამ ბლექის ხათრით, რომელიც ენტონი ჰოპკინსის ფილმის „წითელი დრაკონის“ ნახვის შემდეგ ნაიკითხა და იმიტომაც, რომ ერთი ლექსი მოეწონა: „საშიშ სამყაროში თავით გადავეშვი: ნუგეშს მოკლებული, შიშველი, უძლური / ღრუბლად დამალული ვარ როგორც ურჩხული“. თანაც ბლექი, black და lake, შავი და ტბა, კარგია, დიახ!

მეორე დღეს ერთ-ერთი ამერიკული სერვერი ჟენევის ერთ კაფეში შექმნილი მეილის მისამართს იღებს ვინმე blake.mick.22-გან. ბლექი ვიღაც უცხოსაგან ნაღდი ფულით ყიდულობს ნახმარ ლეიტოპსს, რაღაც ძველ „ნოკიას“ შოულობს და ბარათს დებს დარიცხული დეპოზიტით. შოულობს ფოტოაპარატსა და ტელეობიექტივსაც. როგორც კი სათანადოდ აღიჭურვება, მზარეულის შეგირდი იმ ტიპს ამ „ბლექის“ მონაცემებს გადასცემს, თან „გარანტიას ვერ აძლევს, რომ მისამართი ჯერ კიდევ მოქმედია“ და ელოდება. სამი დღის შემდეგ ბარში გაცნობილი კაცი ბლექს რთულ და მიკი-

ბულ-მოკიბულ მესიჯს უგზავნის, საიდანაც ადვილი მისახვედრია, რომ არ ენდობა. კითხვებს სვამს. ჯავშანში ბზარს ეძებს. ხანდახან ერთდღიან შუაღედსაც იცავს წერილებს შორის. ბლეიკი სამიზნეზე, ლოჯისტიკასა და შესრულების ვადებზე ელაპარაკება და მისი ეს სერიოზული მიდგომა ბოლოს და ბოლოს ამშვიდებს შემკვეთს. თანხმდებიან, ბლეიკი წინასწარ ითხოვს ნახევარს და ეს უკვე ოთხი ნულია. როდესაც კაცი უზუსტებს, მინდა, ეს ამბავი „ბუნებრივ შემთხვევას“ ჰგავდესო, ბლეიკი თანხას აორმაგებს და ერთ თვეს ითხოვს. ამიერიდან დარწმუნებული, პროფესიონალთან მაქვს საქმეო, ტიპი ყველა პირობას თანხმდება.

ეს მისთვის პირველი ჯერია და ბლეიკი გეგმას ადგენს. ის გულმოდგინეა, ფრთხილი და წარმოსახვის დიდი უნარიც აქვს. არაერთი ფილმი ნახა. შეუძლებელია იმის წარმოდგენა, როგორ უნდა უმადლოდნენ დაქირავებული მკვლევები ჰოლივუდის სცენარისტებს. კარიერის დაწყებიდანვე შეკვეთის ფულსა და კონტაქტის შესახებ ცნობებს წინასწარ დათქმულ ადგილებში – რომელიმე ავტობუსში, ფასტ-ფუდში, მშენებლობაზე, ნავის ყუთში ან პარკში – დატოვებული პოლიეთილენის პაკეტებით მიიღებს. მოერიდება როგორც მიყრუებულ უბნებს, სადაც მის გარდა არავინ გამოჩნდება, ისე მეტისმეტად ხალხმრავალ ადგილებს, სადაც თვითონ ვერ გამოარჩევდა ვერავის. იქ რამდენიმე საათით ადრე მივა ხოლმე, იქაურობას რომ დააკვირდეს. ეცმება ხელთათმანები, ეხურება კაპიუშონი და ქუდი, ეკეთება სათვალე, თმას შეიღებავს, ისწავლის პარიკების გაკეთებას, ლოყების შეკუმშვასა და დაბერვას, სამანქანე ნომრები ათეულობით ექნება, ყველა ქვეყნისა. დროთა განმავლობაში ბლეიკი დანის სროლაშიც დაიხვეწება, ნახევარბრუნით ან სრული ბრუნით, მანძილის მიხედვით, ყუმბარის დამზადებაშიც, ძნელად მოსახელთებელი შხამის ამოღებასაც ისწავლის მედუზიდან, რამდენიმე წამში დაშლის და ააწყობს 9-მილიმეტრიან „ბრაუნინგს“, „გლოკ 43-ს“, განეული შრომის საფასურს აიღებს და მერე იარაღს იყიდის ბიტკოინებით, ამ კრიპტოვალუტით, რომლის მოძრაობაც კვალს არ ტოვებს. შექმნის თავის საიტს „დიფ-უებზე“, „დარქნეტი“ კი

მისთვის ერთგვარ თამაშად იქცევა. რადგან ინტერნეტში ყველაფრის სახელმძღვანელოები არსებობს. მთავარია, მოძებნო.

მისი სამიზნე მამაკაცია, დაახლოებით ორმოცდაათი წლის. ბლეიკი მის ფოტოს შოულობს და სახელსაც იგებს, თუმცა გადანყვეტს, კენი დაუძახოს. დიახ, როგორც ბარბის ქმარს ჰქვია. კარგი არჩევანია: კენი არ უქმნის განცდას, რომ ვიღაცის სიცოცხლეს ეხება.

კენი მარტო ცხოვრობს და, ესეც საქმეაო, ფიქრობს ბლეიკი, იმიტომ რომ დაოჯახებულისა და სამი შვილის პატრონის დამართობელება ძნელად წარმოედგინა. და მაინც, სიკვდილი ასეთ ასაკში არც ისე დიდ არჩევანს უტოვებდა: სამანქანო ავარია, აირის გაჟონვა, გულის შეტევა, სიმაღლიდან გადმოვარდნა. მორჩა. მუხრუჭების მოშლა და საჭის დაზიანება ბლეიკს ჯერ არ ეხერხება, არც ის იცის, როგორ იშოვოს კალიუმის ქლორიდი, გული რომ გაუჩეროს; არც აირით გაგუდვა მოსწონს. გადმოვარდნას თითქოს არა უშავს. წელიწადში ათი ათასი კაცი კვდება ასე. განსაკუთრებით, მოხუცები. მოკლედ, შეიძლება ამაზე დაფიქრება. და მიუხედავად იმისა, რომ კენს დიდი ჯანი არ მოსდევს, შებრძოლებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

კენი ანმასთან, ერთი კერძო სახლის პირველ სართულზე, F3 ბინაში ცხოვრობს. სამი კვირის მანძილზე ბლეიკი დაკვირვებისა და გეგმების შედგენის მეტს არაფერს აკეთებს. ავანსით „რენოს“ ერთი ძველი პატარა საბარგო მანქანა იყიდა, სახელდახელოდ მოაწყო შიგნით – სავარძელი, ლეიბი, სამარაგო აკუმულატორი განათებისთვის და უკაცრიელ სადგომზე გაჩერდა, რომელიც საცხოვრებელ სახლს გადაჰყურებდა. ხელისგულივით მოჩანს იქიდან ბინა. კენი ყოველდღე ცხრის ნახევარზე გამოდის, შვეიცარიის საზღვარს კვეთს და სამსახურიდან დაახლოებით შვიდ საათზე ბრუნდება. შაბათ-კვირას ზოგჯერ ვიღაც ქალს ხვდება, ფრანგულის მასწავლებელს ბონვილში, ათ კილომეტრში აქედან. სამშაბათი საუკეთესო დღეა. კენი ჩვეულებრივზე ადრე ბრუნდება, მაგრამ მალევე უკან გამოდის და სპორტულ დარბაზს მიაშურებს, საიდანაც ორი

საათის მერე კვლავ შინ ბრუნდება. სააბაზანოში დაახლოებით ოც წუთს რჩება, შემდეგ ტელევიზორის წინ სადილობს, ცოტა ხანს კომპიუტერთან ყოვნდება და ბოლოს იძინებს. სამშაბათ საღამოს არა უშავს. მესიჯს უგზავნის თავის კლიენტს: „ორშაბათს, საღამოს რვაზე?“. ერთი დღითა და ორი საათით ნაკლებს ეუბნება – დამკვეთს ალიბი ექნება სამშაბათის ათი საათისთვის.

დათქმულ დღემდე ერთი კვირით ადრე ბლეიკი პიცას მიატანინებს კენტან. კურიერი რეკავს, კენი კარს აღებს და, გაკვირვებულ, უყოყმანოდ უწყებს კამათს მომტანს, რომელიც თავის ყუთიანად გაბრუნდება უკან. ბლეიკს მეტის ცოდნა არც სჭირდება.

მომდევნო სამშაბათს ისიც მიადგება კართან პიცის ყუთით ხელში, წამით უკაცრიელ ქუჩას მოავლებს თვალს, ხაოიან ბახილებს ამოიცვამს, ხელთათმანებს ამონმებს და ერთხანს იცდის, რომ იმ მომენტში დარეკოს, როდესაც კენი საშხაპიდან გამოდის. ხალათის ამარა კენი კარს აღებს და პიცის ყუთიანი მომტანის დანახვაზე ამოიხრებს. მაგრამ, ვიდრე სიტყვის თქმას მოასწრებდეს, ცარიელი ყუთი ძირს ვარდება და ბლეიკი ორივე ელექტრომოკერს მკერდზე აქეთ-იქით მიაბჯენს. კენი დენის დარტყმისგან მუხლებზე ეცემა, ბლეიკს შოკერი კიდეც ათი წამის განმავლობაში აქვს მიბჯენილი, ვიდრე კენი საბოლოოდ არ გაშეშდება. მწარმოებელი იუნყებოდა, რვა მილიონი ვოლტიაო. ბლეიკმა თავის თავზე სცადა ერთი ცალი და კინალამ გონება დაკარგა. სააბაზანო ოთახამდე მიათრევს კენს, რომელსაც კენესის დროს პირიდან დუფი გადმოსდის, დაზღვევის მიზნით კიდეც ერთხელ ურტყამს დენს და ერთი მოძრაობითა და გამაოგნებელი სისასტიკით – ეს მოძრაობა ერთი ათჯერ მაინც გაიმეორა ქოქოსის კაკალზე – კენის თავს ხელებში მოიქცევს, წამოაწევინებს, საფეთქლებში ჩაავლებს და მთელი ძალით დაუშვებს ძირს: ქალა პირსაბანი ნიჟარების გამყოფ ტიხარზე სკდება, ფილების ერთ-ერთი რომბი კი დარტყმისგან ტყდება. სისხლი მაშინვე გამოდის, ფრჩხილების ლაკივით ალისფერი და ლორწოვანი, თბილი ჟანგის სასიამოვნო სუნით. პირი ღია რჩება, სულელურად, ფართოდ გახელილი თვალები კი ქერს აჰყურებს.

ბლეიკი ხალათს შეუხსნის: დენის დარტყმას არავითარი კვალი არ დაუტოვებია. გვამს შეძლებისდაგვარად ისე გაანვენს, ისეთი ჰიპოთეზური ტრაექტორიის გათვალისწინებით, როგორსაც ის გრავიტაციის ძალით მოხაზავდა საბედისწერო ნაქცევისას.

და რომ ნამოდგება, შესრულებული სამუშაოთი ტკობისას მოშარდვის დაუძლეველი სურვილი დაეუფლება. ბლეიკს თავშიც არ მოუვიდოდა ეს. უნდა ითქვას, რომ ფილმებში მკვლეელი არასდროს ფსამს. მოთხოვნილება ისეთი ძლიერია, გაიფიქრებს, უნიტაზში ხომ არ დავიკმაყოფილო, თუნდაც მერე ძირფსევინანად მომიწიოს დასუფთავებო. მაგრამ თუკი პოლიციელები ოდნავ მაინც მოინდომებენ და გონიერებას გამოიჩენენ, ან, უბრალოდ, სისტემატურები იქნებიან, თუკი მეთოდურად მიჰყვებიან პროცედურას, აუცილებლად იპოვიან ღწმ-ს. წყალი არ გაუვა ამას. უფრო სწორად, ბლეიკი ფიქრობდა ასე. ამიტომაც, მიუხედავად თავისი შარდის ბუშტის მუდარისა, სატანჯველისაგან სახემოლრეჯილი მიჰყვება გეგმას. საპონს იღებს, მაგრად აჭერს კენს ქუსლზე, იატაკზე კვალს მოხაზავს და ბოლოს სავარაუდო გაცურების მიმართულებით აგდებს: ძირიდან ასხლეტილი საპონი ტუალეტის უკანა მხარემდე გასრიალდება. მშვენიერია. მისი პოვნა ალაფრთოვანებს გამომძიებელს, ძალიან ბედნიერი იქნება, ამ საიდუმლოს რომ ამოხსნის. ბლეიკი შხაპის წყალს მაქსიმალურ ტემპერატურაზე აყენებს, აღებს, ნაკადს მიცვალებულის ხელისგულით სახისა და ტორსისკენ მიმართავს, თვითონ ყოველგვარ შეხებას აირიდებს ორთქლიან წყალთან და სააბაზანო ოთახიდან გამოდის.

ბლეიკი ფანჯარასთან მირბის, ფარდებს აფარებს და უკანასკნელად ათვალეირებს ოთახს. არაფერი მიუთითებს, რომ სხეული ვინმემ რამდენიმე მეტრზე გადაათრია, ვარდისფერი წყალი კი ამა-სობაში თანდათანობით ფარავს იატაკს. კომპიუტერი ჩართულია, ეკრანზე ინგლისური გაზონისა და ბაღების აყვავილებული ზოლები მოჩანდა. კენს მეყვავილეობა ემარჯვებოდა. ბლეიკი სახლიდან გამოდის, ხელთათმანებს იხდის და ორას მეტრში გაჩერებული სკუტერისკენ ნელი ნაბიჯით მიემართება. ქოქავს, კილომეტრს

გაივლის და, როგორც იქნა, აჩერებს მოსაფსმელად. ჯანდაბა! შავი ბამბის ბახილები ისევ აცვია.

ორი დღის შემდეგ ერთი შეშფოთებული კოლეგა პოლიციას მიმართავს, რომელიც უბედური შემთხვევისგან გარდაცვლილ სამუელ ტედლერს იპოვის. ბლეიკი გასამრჯელოს დარჩენილ ნაწილს იმავე დღეს მიიღებს.

ეს ყველაფერი ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა. მას შემდეგ ბლეიკმა ორი ცხოვრება აიგო. ერთში უხილავია, ოცი გვარი და ამდენივე სახელი აქვს, შესაბამისი პასპორტებით, ყველა ეროვნებისა, მათ შორის ნამდვილი ბიომეტრიკულებიც. ეს ყოველივე იმაზე უფრო იოლი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოგვიდგენია. მეორეში, ჯოს სახელით, ერთ მშვენიერ კომპანიას უძღვება პარიზში, რომელსაც მზა ვეგეტარიანული კერძები მიაქვს სახლებში. ფილიალებიც გახსნა ბორდოში, ლიონში და, ახლა უკვე, ბერლინსა და ნიუ-იორკში. მისი თანამშრომელი ფლორა, რომელიც ამავე დროს მისი ცოლიცაა და ორი შვილი ნუნუნებენ, ძალიან ბევრს და ხანდახან ძალიან ხანგრძლივად მოგზაურობსო. და მართალიცაა.

*

21 მარტი, 2021,
კვოგი, ნიუ-იორკის შტატი

ამ 21 მარტს ბლეიკი მოგზაურობს. ის ყუყუნა წვიმაში ნოტიო ქვიშაზე მირბის. გრძელი ქერა თმა, ბენდენა, შავი სათვალე, ყვითელ-ცისფერი სპორტული კოსტიუმი – მოძუნძულის შემთხვევაში ასეთი სიჭრელე თვალში არ ხვდება ადამიანს. ნიუ-იორკში ათი დღით ადრე ჩამოვიდა ავსტრალიური პასპორტით. მისი ეს ტრანსატლანტიკური რეისი ისეთი საშინელი გამოდგა, რომ რაღაც დროს მართლა გაიფიქრა, აღსასრული მოვიდაო, რომ ღმერთი შურისძიებას აპირებდა მისი ყველა ხელშეკრულების გამო. საჭაერო

ორმოში ვარდნისას, რომელსაც ბოლო აღარ უჩანდა, კინალამ პარიკი ჩამოსძვრა კინკრისხოდან. და აი, ცხრა დღეა, სამ-სამ კილომეტრს დარბის პლაჟზე ნაცრისფერი ცის ქვეშ, კვოგში, ქობმახების წინ, რომელთაგან ათ მილიონ დოლარზე ნაკლები არც ერთი არ ეღირება. მოანყვეს დიუნები, ქუჩას „დიუნ-როუდი“ დაარქვეს, დიდად თავი არ შეუწუხებიათ და ირგვლივ ფიჭვები და ლერწმები დარგეს, რათა ერთმანეთის ვილები არ დაენახათ და არც ერთ მეპატრონეს ეჭვი არ შეჰპარვოდა, რომ მთელი ოკეანე მხოლოდ მას ეკუთვნის. ბლეიკი აუჩქარებლად, მოკლე-მოკლე ნაბიჯებით მირბის და უეცრად, როგორც ყოველდღე ერთსა და იმავე დროს, ერთი არაჩვეულებრივი და ბრტყელი სახლის წინ ჩერდება, რომელსაც კედლებზე სეკვოიის განიერი ფიცრები აქვს აკრული, ფართო ფანჯრები ამშვენებს, ტერასა კი კიბით გრძელდება და პირდაპირ ზღვასთან ეშვება. ვითომ აქოშინებული ორად იკეცება, ვითომ რომელიღაც ფერდის რალაც წერტილზე სტკივა და, როგორც ყოველდღე, თავს წამოსწევს და ვილაც ორმოცდაათიოდე წლის, ცოტათი ჩამრგვალებულ კაცს, რომელიც საჩრდილობელქვეშ კიბის მოაჯირზე ჩამოყრდნობილი სვამს ყავას, ხელს უქნევს შორიდან. კაცს ვილაც უფრო ახალგაზრდა, მაღალი, შაგვრემანი და მოკლეთმიანი მამაკაცი უწევს კომპანიას. ცოტათი უკან დგას, ზურგით ფიცრის კედელს ეყუდება, ჩანს, რალაც აწუხებს და მზერას ზღვის ნაპირს არ აშორებს. იარაღის უხილავი ბუდე პიჯაკს მარცხენა მხარეს უბურცავს. ესე იგი ცაცია არ არის. დღეს, ამ კვირაში უკვე მეორედ, ბლეიკი ღიმილით უახლოვდება მათ და ქვიშიან ბილიკს აუყვება კურდღლისცოცხასა და რალაც დაბალ ბალახებს შორის.

ბლეიკი მოზომილი მოძრაობით იზომრება, ამთქნარებს, ზურგჩანთიდან პირსახოცს იღებს და სახეს იმშრალებს. შემდეგ მათარას ამოიღებს და იქიდან ერთ დიდ ყლუპ ცივ ჩაის მოსვამს.

ელოდება, რომ უფრო ასაკოვანმა მამაკაცმა მიმართოს.

– გამარჯობა, დენ. როგორ ხარ?

– გაგიმარჯოს, ფრანკ, – სალამს უბრუნებს დენ-ბლეიკი, რომელიც კვლავაც ქოშინებს და ვითომ კრუნჩხვისგან სახე ემანჭება.